

სს ინოსისტემსი საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge




JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

ქ. თბილისში საოფისე-ადმინისტრაციული შენობისა და მონაცემთა დამუშავების  
ცენტრის (დატა ცენტრი) მშენებლობისთვის ტექნიკური დავალება

დამკვეთი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

შემსრულებელი: სს. ინოსისტემსი „საპროექტო საკონსტრუქტორო  
ტექნოლოგიური ინსტიტუტი“



თბილისი 2021

ს.ს. „ინოსისტემსი“

შეასრულა:

ანი მაგალობლიშვილი

შეამოწმა:

მერაბ კიკაბიძე \_\_\_\_\_

გენერალური დირექტორი

დავით ჩხენკელი

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenskeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenskeli@gmail.com  
www.innosystems.ge

## ტექნიკური დავალება

### საპროექტო გეგმარებითი დავალება

ტექნიკური დავალება მომზადებულია საპროექტო დავალების მიხედვით, რომელიც შედგება 01.07.2021 წელს გამოცხადებულ ტენდერი N2 მოთხოვნების თანახმად.

სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნები:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს განახორციელოს გარკვეული საქალაქო სამსახურებისთვის საოფისე ფართის მშენებლობა, რომლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, სამომავლოდ უნდა განხორციელდეს პირველ ეტაპზე კონკურსის წესით დიზაინისა და დეტალური საპროექტო მომსახურების შესყიდვა, ხოლო შემდგომ ტენდერის საშუალებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ესაჭიროება ტექნიკური დავალების შედგენა საკონკურსო საპროექტო მომსახურების შესასყიდად. ტექნიკური დავალება უნდა მოიცავდეს ყველა დეტალსა და სტანდარტს, რისგანაც უნდა შედგებოდეს ამ ტექნიკური დავალების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ შედგენილი დეტალური პროექტი.

ვითარებისა და მასშტაბის სწორი აღქმისათვის გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი ზოგადი პარამეტრები:

საოფისე ფართი - არქივის, სასადილოსა და სხვა შესაბამისი ფართის გათვალისწინებით არანაკლებ **6000 კვ/მ.**

მიწის ფართი - **7333 კვ/მ**

მიწის საკადასტრო კოდი - 01.17.14.003.463.

ცალკე მდგომი დატა ცენტრი - შენობა სადაც განთავსებულია მონაცემთა დამუშავების ცენტრი არანაკლებ **225 კვ/მ**, ღია ფართი არანაკლებ **1500 კვ/მ**. სადაც განთავსდება მონაცემთა ცენტრის გარე აგრეგატები (სატრანსფორმატოროები, საგენერატორები და ა.შ)

პერსონალის რაოდენობა - არანაკლებ **750 პერსონა.**

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

პარკინგი - 105 მანქანაზე

დოკუმენტი შედგენილი უნდა იყოს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობისა და სტანდარტების შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესასყიდ დონეზე.

საცხოვრებელი ზონა 6

კ1-0,5

კ2-2,5

კ3-0,3

ტოპო-გეოდეზიურ აგეგმვასა და საინჟინრო ტექნოლოგიის მიწოდებას უზრუნველყოფს დამკვეთი.

ჰიდროგეოლოგიურ, ჰიდროლოგიურ და გეოტექნიკურ კვლევას ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში განახორციელებს დამკვეთი.

## შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

### პუნქტი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით - 01.17.14.003.463. საოფისე-ადმინისტრაციული შენობა და მონაცემთა დამუშავების ცენტრის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

### მოკვლევითი სამუშაოები:

- 1.1 ობიექტის ენერგო რესურსებით უზრუნველყოფის წყაროები;
- 1.2 ობიექტის სასმელი წლით უზრუნველყოფის წყაროები;
- 1.3 ობიექტის კანალიზაციით უზრუნველყოფის წყაროები;
- 1.4 ობიექტის სატელეფონო-სატელევიზიო-ინტერნეტ კომუნიკაციებით უზრუნველყოფის წყაროები;
- 1.5 სამშენებლო მოედნამდე მისასვლელი გზების განსაზღვრა და შეფასება;

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

- 1.6 შენობის განთავსების, ორიენტაციის და კონფიგურაციის წინასწარ განსაზღვრა და შეფასება;
- 1.7 საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავე სივრცეების შესწავლა;
- 1.8 ტერიტორიის სამშენებლო პირობების განსაზღვრა;
- 1.9 არქიტექტურის სამსახურთან კონსულტაციების გავლა.

## **პუნქტი 2. მომსახურების აღწერა და ტექნიკური დავალება**

### **პუნქტი 2.1. პროექტის მოკლე აღწერა**

ქალაქ თბილისში ისნის რაიონში საოფისე და მონაცემთა დამუშავების ცენტრის (დატა ცენტრი) პროექტის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე სამშენებლო მასალების გამოყენება საერთაშორისო სტანდარტებით საჭირო სივრცეების მოწყობით. პროექტი ასევე უნდა მოიცავდეს ზოგად ინსტრუქციებს და რეკომენდაციებს შენობის ექსპლუატაციისთვის, ისევე როგორც დეტალურ სპეციფიკაციებს გამოყენებული მასალის, მუშაობის მეთოდებისა და ხარისხის გასაკონტროლებლად. სივრცეები უნდა იყოს ტრანსფორმირებადი ავეჯის მარტივი გადაადგილების გზით, ხოლო შენობის ელემენტები უნდა იყოს ხაზგასმული და ადაპტირებული თანამედროვე მასალებთან, რითაც მივიღებთ განახლებად დიზაინს.

1. მონაცემთა დამუშავების ცენტრი (დატა ცენტრი) წარმოადგენს სტრატეგიულ ობიექტს, რომლის სისტემების მცირე ხნით გათიშვამ შესაძლოა გამოიწვიოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის პარალიზება. საგანგებო სიტუაციების რისკების შემცირება მოითხოვს საერთაშორისო სტანდარტების დაცვას მონაცემთა ცენტრის ოპერირებასა და ინფორმაციულ უსაფრთხოებაში.
2. ადმინისტრაციული შენობა წარმოადგენს საოფისე სივრცეს, სადაც განთავსებულია ძირითადად 4 უწყების:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ააიპ თბილისის განვითარების ფონდის  
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს  
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის  
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის  
საოფისე და საყოფაცხოვრებო სივრცეები.

## **პუნქტი 3. ტექნიკური დავალება**

### **პუნქტი 3.1. გასაწევი მომსახურების მოცულობა და ძირითადი მოთხოვნები.**

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

დავალების ფარგლებში უნდა დამუშავდეს, საოფისე და მონაცემთა დამუშავების ცენტრის (დატა ცენტრი) პროექტი, რომელიც მოიცავს არქიტექტურულ, კონსტრუქციულ, შიდა გაყვანილობების, ქალაქის ქსელებზე დაერთების, ტერიტორიის კეთილმოწყობის და დაგეგმარების პროექტებს და ა.შ. პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნული რაიონის დამახასიათებელი კლიმატური ფაქტორები და შესაბამისი დატვირთვები შენობაზე, რომელიც განისაზღვრება სამშენებლო ნორმების და წესების „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) მონაცემების საფუძველზე.

შენობის საძირკვლების და კონსტრუქციული ელემენტების დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამშენებლო ნორმების და წესების „სეისმომდებელი მშენებლობა“ (პნ 01.01-09), „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08) მოთხოვნები. დაპროექტებისას გამოყენებული ფუძის გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები წინასწარ განხილული და შეთანხმებული უნდა იყოს დამკვეთთან. სამშენებლო მოედნის საანგარიშო სეისმურობად მიღებული უნდა იყოს 9 ბალი; შენობიდან თბოდანაკარგების შემცირების მიზნით, პროექტი უნდა მოიცავდეს ენერგოეფექტურობის ღონისძიებებს, გათბობა-კონდიციონერების, ვენტილაციის და განათების სისტემების ენერგოდამზოგველ გადაწყვეტებს. გადახურვის და კედლის იზოლაცია - შემოთავაზებული უნდა იქნას კლიმატური პირობების შესაბამისად. იზოლატორი არ უნდა იყოს აალებადი, ცეცხლის გადამცემი. ძირითადი და დამხმარე კარკასების გაანგარიშებაში გათვალისწინებული უნდა იყოს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სამშენებლო ნორმების და წესების СНиП 2.01.07-85 და СНиП II-23-81 მოთხოვნები.

ტიპიური პროექტის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოქმედი სამშენებლო წესების და ნორმების მოთხოვნები (მაგრამ არ შემოიფარგლება):

- საქართველოს მთავრობის №41 დადგენილება 2014 წლის 6 იანვარი ქ.თბილისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N57 2009 წლის 24 მარტი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №63 2017 წლის 6 თებერვალი ქ. თბილისი-„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №59 2014 წლის 15 იანვარი ქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
წუგუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

- საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 2016 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე;
- „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (პნ 03.01-09)
- „სეისმომდებელი მშენებლობა“ (პნ 01.01-09)
- „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08) СНиП 2.01.07-85 □ СП 118.13330.2012 Общественные Здания и Сооружения;
- СП 31-112-2004. Физкультурно- Спортивные Залы, Часть 1, 2; □ Interior Graphic Standards Second Edition Corky Binggeli, ASID Editor-in-chief The Magnum Group Illustrator John Wiley & Sons, INC;
- The Architects' Handbook. Edited By Quentin Pickard, RIBA.
- Metric Handbook, Planning and Design Data. Edited by David Adler. Second edition (as Metric Handbook) 1999.
- Ernst and Peter Neufert, Architect's Data. Third Edition, Blackwell Science.
- School Buildings Construction and Design Manual Edited by Natascha Meuser With contributions by Hans Wolfgang Hoffmann, Thomas Muller and Jochen Schneider
- Offices Construction and Design Manual Ansgar Oswald With an introduction by Hajo Eickhoff
- Spaces for Innovation Kursty Groves and Oliver Marlow
- საინჟინრო კომუნიკაციების პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამშენებლო წესების და ნორმების მოთხოვნები (მაგრამ არ შემოიფარგლება):
- СНиП 41-01-2003 Отопление, вентиляция и кондиционирование
- СНиП 2.04.01-85\* Внутренний водопровод и канализация зданий
- СП 31-110-2003 Проектирование и монтаж электроустановок жилых и общественных зданий;
- ПУЭ Правила устройства электроустановок;
- СП 1.13130.2009, СП 2.13130.2012, СП 4.13130.2009. Системы Противопожарной Защиты.
- СП 52.13330.2011. Естественное и искусственное освещение Актуализированная редакция СНиП 23-05-95\*;
- BS EN 12193:2007 BS 5489-1:2013 და BS EN 12464-1:2011 Light and lighting. Sports lighting;
- NFPA (National Fire Protection Association) Codes and Standards;
- CN-16.13330.2017 строительные металлические конструкции
- СНиП 2-23-81\* строительные металлические конструкции

პროექტების შედგენისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის შენობის ადაპტაციის ღონისძიებები („შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

ტექნიკური რეგლამენტის“, ასევე „ინკლუზიური ტურიზმის სახელმძღვანელო უნივერსალური დიზაინის მოთხოვნები“ -ს და „Accessible Architecture Construction and Design Manual“ Edited by Philipp Meuser-ს შესაბამისად).

#### **პუნქტი 4. საპროექტო ორგანიზაციამ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:**

- ესთეტიურად დახვეწილი შენობის გარე იერსახე;
- მინიმუმამდე დაყვანილი გარემოზე ზემოქმედება და არსებული ლანდშაპის ცვლილება;
- პრინციპებით ხელმძღვანელობა;
- ენერგოდამოზოგი შენობა-ნაგებობები;
- მარტივად დასამუშავებელი და ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალები;
- თანამედროვე და სწრაფი ტექნოლოგიები;
- მინიმუმამდე დაყვანილი სამშენებლო სამუშაოების შრომატევადობა და ხანგრძლივობა;
- შენობა-ნაგებობები კონსტრუქციული თვალსაზრისით უსაფრთხოება და მდგრადობა;
- გათვალისწინებულია სეისმურ დატვირთვაზე;
- ეკონომიურად მიზანშეწონილი, გათვლილი გრძელვადიან უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის;
- ობიექტის მინიმალური საექსპლუატაციო მოვლა-პატრონობის ხარჯები.
- საპროექტო სივრცეების დეტალური რეკომენდაციები და მოთხოვნები დამუშავდეს მუნიციპალური განვითარების ფონდის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- შენობის გარე იერსახე სასურველია ეხმიანებოდეს თბილისის დამახასიათებელ ბუნებას და არსებულ გარემოს;
- შენობის გარე იერსახის მიმზიდველობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად ფასადზე სასურველია გამოყენებულ იქნეს თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალები;
- პროექტანტმა უნდა გაითვალისწინოს საპროექტო ტერიტორიის სპეციფიკაციები (ქ. თბილისი, ს/კ 01.17.14.003.463.), ტერიტორიაზე მისასვლელი გზები და შესაბამისად დაგეგმოს ავტოსადგომების განლაგება და მდებარეობა;
- მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი გარემოზე ზემოქმედება. გამოყენებული მასალები უნდა იყოს პრაქტიკული, მარტივად დასამუშავებელი და ეკოლოგიურად სუფთა.
- კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა უნდა აკმაყოფილებდეს სიმტკიცისა და მდგრადობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს მის უსაფრთხო ექსპლუატაციას ნორმებით გათვალისწინებულ დატვირთვებზე (მათ შორის სეისმურ დატვირთვაზე).

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

- კონსტრუქციული სქემა უნდა იყოს ოპტიმალური და გამორიცხავდეს მასალის გადახარჯვას მოცემული დატვირთვებისა და ზემოქმედებებისათვის.
- ობიექტის ენერგო რესურსებით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს მაქსიმალურად ეფექტურად;
- საპროექტო გადაწყვეტილებებმა უნდა უზრუნველყოს ობიექტის მინიმალური საექსპლუატაციო მოვლა-პატრონობის ხარჯები;
- პროექტი უნდა იყოს ქ. თბილისის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში;
- შენობა-ნაგებობა სრულად უნდა იყოს მორგებული შშმ პირების საჭიროებებზე.

## პუნქტი 5. შენობის ფუნქციონალური ზონები და სათავსები:

### პუნქტი 5.1. მონაცემთა დამუშავების ცენტრი (დატა ცენტრი)

საპროექტო შენობა უნდა შეესაბამებოდეს საიმედოების სტანდარტს **Tier 3 (უწყვეტი სამუშაოების მდგრადობა შეადგენს 99,982% - ს)**. სტანდარტის მიხედვით შენობამ არ უნდა შეწყვიტოს მუშაობა სარემონტო ან სხვა პროფილაქტიკური სამუშაოების დროს ან უნდა იყოს აღჭურვილი დუბლირებული!!! სარეზერვო სიმძლავრეებით, ისეთები როგორც არის: ელექტრო მომარაგების უწყვეტი წყარო, გაგრილების უწყვეტი წყარო, საიმედო კონსტრუქცია. შენობის დამცავი ზღუდე დაშვების მკაცრი კონტროლი. შენობა უნდა იყოს ერთ სართულიანი მიწის ზედა სართულით. შენობას უნდა ჰქონდეს რამდენიმე შესასვლელი/გამოსასვლელი მისასვლელი გზების ოპტიმალური დაგეგმარების გათვალისწინებით. ინტერიერისთვის გამოსაყენებელია სხვადასხვა სახის, მაღალი ხარისხის მასალები. პროექტში გამოყენებულ ყველა მასალას და კონსტრუქციას უნდა ახლდეს შესაბამისი გარანტიის და ხარისხის სერტიფიკატი. შენობის გადახურვებზე უნდა მოეწყოს ჰიდრო და თბო იზოლაცია. იატაკის მასალა შენობის ფუნქციიდან გამომდინარე უნდა დამუშავდეს მაღალი ხარისხის მასალით, რომელიც გათვლილია უწყვეტ დატვირთვაზე. უნდა იყოს წარმოდგენილი მასალის შესაბამისი სპეციფიკაციები და გარანტია ევროსტანდარტების შესაბამისად.

- მინიმიზებული უნდა იყოს შენობის დაზიანების საფრთხე მიწისძვრისა და დატბორვის შემთხვევაში;
- შენობა არ უნდა იყოს განთავსებული დატბორვის საშიშროების მქონე ადგილას. ასევე, კანალიზაციის, წყალგაყვანილობის, სანიაღვრე გაყვანილობის უშუალო სიახლოვეში;
- შენობა არ უნდა იყოს ფრენის მარშრუტების ქვემოთ, დაშორება აეროპორტიდან (მინიმუმ 1600 მ, მაქსიმუმ 48 კმ), დისტანცირება კვლევითი ლაბორატორიების, ქიმიური საწარმოების, ზღვის და მდინარის სანაპიროების, დამბების, პარკინგის ადგილებიდან (არანაკლებ 400 მ),

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

საქალაქთაშორისო გზებიდან (არანაკლებ 800 მ), სამხედრო ბაზებიდან (არანაკლებ 800 მ),  
სამხედრო ქარხნებიდან (არანაკლებ 1600 მ), არ უნდა იყოს განთავსებული საელჩოების  
მიმდებარედ;

- მაგისტრალური გზებიდან დაშორება მინიმუმ 91 მ;
- ვიზიტორების პარკინგი მინიმუმ 9.1 მეტრით უნდა იყოს დაცილებული მონაცემთა ცენტრის  
(დატა ცენრი) შემომსაზღვრელ კედელს.
- დანადგარების გაბარიტული ზომები, სპეციფიკაციები და პარამეტრები დაზუსტდეს  
პროექტირების ეტაპზე.
- დატვირთვები კონსტრუქციაზე დაზუსტდება პროექტირების ეტაპზე დამკვეთის მიერ  
ტექნოლოგიური დანადგარების სპეციფიკაციების წარმოდგენის შემდეგ.

#### **პრეცეპტული გაგრილება**

- სასერვერო ოთახის განთავსების ადგილი უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს  
რადგან, მის ინფრასტრუქტურას უსაფრთხოების მაღალი მოთხოვნები აქვს. სასერვეროს  
პრეცეპტული გაგრილების სისტემა IT მოწყობილობებს იცავს გადახურებისაგან. გაგრილება  
ხორციელდება სპეციალური კონდიციონერების სისტემებით, გამოიყენება ცივი და თბილი  
ნაკადების განცალკევება, შესაძლებელია შიდა ვენტილატორების და კომპრესორის  
პროპორციული რეგულირება. კონდიციონერები აღჭურვილია ტენიანობის განმსაზღვრელი  
სენსორით, რათა სასერვეროში შენარჩუნდეს ტემპერატურისა და ტენიანობის სასურველი  
დონე.

#### **უწყვეტი კვების სისტემა**

- სარეზერვო კვების სისტემა განაპირობებს სერვერის შეუფერხებელ მუშაობას  
ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის პირობებშიც. სასერვერო ოთახის  
ელექტრომომარაგება ხორციელდება უწყვეტი კვების წყაროს გამოყენებით და  
ელექტროგანაწილების სისტემით. კვების უწყვეტობას განაპირობებს დუბლირებული UPS-  
ები და გენერატორები. თითოეულ სასერვერო დანადგარში ხდება ორი ინდივიდუალური  
კვების წყაროს მიყვანა, რაც განაპირობებს აპარატურის შეუფერხებელ მუშაობას. სასერვერო  
კარადები დაცულია წყლის და ცეცხლის ზემოქმედებისგან, ასევე – არასანქცირებული  
შეღწევისაგან.

#### **აწეული იატაკი**

- ყველა საჭირო უსაფრთხოების სისტემასთან ერთად, სასერვერო ოთახი უზრუნველყოფილია  
სასერვერო აპარატურის კარადებით, ხოლო ენერგოეფექტურობის ამაღლებისა და  
ინფრასტრუქტურის მარტივად მოწყობის მიზნით, ელექტროგაყვანილობებსა და სხვა  
კომუნიკაციებს ხშირად ათავსებენ ცეცხლგამძლე აწეული იატაკის ქვეშ. სასერვეროს იატაკი  
კონსტრუქციულად შედგება წონის გამანაწილებელი მეტალის ჩარჩოსგან და იატაკის  
ზედაპირისგან. ამ მეთოდის გამოყენებისას აწეული იატაკის ქვეშ არსებული ჰაერის ნაკადი  
დანახარჯებს ზოგავს, მექანიკურ და ელექტრო გაყვანილობას მალავს და მასთან წვდომას

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

ამარტივებს, კომუნიკაციების დამატება ან შეცვლაც აღარ საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს  
და ოთახში რჩება მეტი თავისუფალი სივრცე.

#### სასერვეროს ხანძარქრობა და მონიტორინგი:

- სასერვერო დაცულია სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით. ხანძრის დეტექცია ხდება შემწოვი სახანძრო სისტემით, ხოლო ავტომატური ბუნებრივი აირით (გაზით) ქრობის სისტემები სრულად მორგებულია სასერვერო სივრცის თავისებურებებთან. ყოველივე ეს ხორციელდება ადამიანის ჩარევის გარეშე, თუმცა შესაძლებელია ქრობის ხელით გაშვებაც. ქრობისთვის გამოყენებული ბუნებრივი აირი (გაზი) ელექტროგაუმტარია, არ ტოვებს მტვრის ნაწილაკებს, მისი გამოყენების შემდეგ არ ზიანდება აპარატურა, ასევე, ის გამოირჩევა დაბალი ტოქსიკურობით. ქრობის აგენტი გათვლილია ოთახის მოცულობაზე.
- სასერვერო სივრცის უსაფრთხოება დაცულია უწყვეტი მონიტორინგის სისტემებით, რაც გულისხმობს კლიმატის და შეღწევადობის კონტროლს, დაშვების სისტემას და 24/7-ზე ვიდეო მეთვალყურეობას. ცენტრალური მონიტორინგის ფუნქცია გულისხმობს ინტეგრირებულ სისტემას, რომლის საშუალებითაც მოხდება მისი ყველა სამუშაო პარამეტრის მონიტორინგი, ასევე თვითდიაგნოსტიკა და რაიმე გაუმართაობის დაფიქსირების შემთხვევაში, შეტყობინება.
- დანადგარების გაბარიტული ზომები, სპეციფიკაციები და პარამეტრები დაზუსტდეს პროექტირების ეტაპზე.

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge




JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

## მონაცემთა დამუშავების ცენტრი (დატა ცენტრი) ტექნოლოგიური ნაწილი

რეკომენდაციები საპროექტო ორგანიზაციისთვის

მონაცემთა ცენტრის გარე პერიმეტრზე გასათავსებელი მოწყობილობების სავარაუდო/სარეკომენდაციო ჯგუფარება




სს ინოსისტემსი საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
წუგუზიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

### მონაცემთა ცენტრის ოთახების განლაგების სავარაუდო გეგმარება



სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუგუზიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

- TIA-942 სტანდარტის შესაბამისობა კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტებისათვის. გაყოფილი უნდა იყოს ძირითადი, ჰორიზონტალური განაწილების არეები და სერვერების არე.
- უსაფრთხოების საკითხები: ფიზიკური წვდომის ზონირება როგორც ოფისის, ისე მონაცემთა დამუშავების ცენტრის (დატა ცენტრი) დონეზე. ზონების აწყობა ინფორმაციული აქტივების კონფიდენციალობის მიხედვით წვდომის შესაბამისად.
- სასერვერო არ უნდა იყოს განთავსებული სარდაფში. აუცილებელია ვიზიტორების და თანამშრომლების პარკინგის დაცემა და სხვადასხვა შესასვლელი მათთვის.
- ცალკე შესასვლელი სატვირთო ტრანსპორტის მისადგომად.
- ვიზიტორების პარკინგი მინიმუმ 9.1 მეტრით უნდა იყოს დაცილებული მონაცემთა დამუშავების ცენტრის (დატა ცენტრი) შემომსაზღვრელ კედელს.
- სავარაუდო დადგმული ელ. სიმძლავრე 350 კვტ. ქსელის ძაბვა 380/220 ვტ 50გვ.

## პუნქტი 6. საოფისე შენობის ტექნოლოგიური ნაწილი

საოფისე-ადმინისტრაციული შენობა შეიცავს რამდენიმე ტექნოლოგიურ კვანძს, ისეთები როგორიცაა:

| N | საერთო ოთახის<br>დასახელება                     | საშტატო<br>ერთ.<br>რაოდენობა | ოთახის<br>სავარაუდო<br>ფართი კვმ | ტექნიკური დავალება                                                                    |
|---|-------------------------------------------------|------------------------------|----------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------|
| 1 | ტექნიკური სივრცე                                |                              | 180                              | უნდა მოეწყოს<br>შესასვლელთან                                                          |
| 2 | ავტოსადგომი                                     | 105                          |                                  | მინ. 105 მანქანის საპარკიგე<br>სივრცე                                                 |
| 3 | სატრანსფორმატორო                                |                              |                                  |                                                                                       |
| 4 | დენდროლოგია (მეზაღის<br>სათავსო)                |                              | 20                               |                                                                                       |
| 5 | სამედიცინო სივრცე                               | 3                            | 60                               |                                                                                       |
| 6 | სასადილო                                        | 60                           |                                  | სასადილო 60 დასაჯდომ<br>ადგილზე                                                       |
| 7 | არქივი                                          | 4                            |                                  | ოთხივე არქივში თითო-<br>თითო თანამშრომელი.<br>არქივი მოეწყოს<br>სპეციალური მექანიზმით |
| 8 | კანცელარია (აქტუალური<br>დოკუმენტაციის სათავსო) |                              | 60                               | ყველა სამსახურს თითო<br>15კვმ.                                                        |
| 9 | მონიტორინგის ცენტრი                             | 20                           | 200                              |                                                                                       |

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუგეზიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

|    |                                                                           |     |     |                                             |
|----|---------------------------------------------------------------------------|-----|-----|---------------------------------------------|
| 10 | საშვთა ბიურო                                                              | 1   |     | ფართობი განისაზღვროს<br>პროექტირების ეტაპზე |
| 11 | ვიზიტორების შემოწმება<br>კოვიდ რეგულაციების<br>თანახმად, ბუფერული<br>ზონა |     |     | ბუფერული ზონის აღწერა<br>იხილეთ             |
|    | ჯამი                                                                      | 183 | 520 |                                             |

#### ა) ტექნიკური სივრცე;

- ტექნიკური სივრცე უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ განთავსდეს რამდენიმე ინჟინერი;
- ინჟინერ-ტექნიკოსი
- ინჟინერ-ელექტრიკოსი
- ინჟინერ-მექანიკოსი
- მათ უნდა ჰქონდეს შესაბამისი სასაწყობო მცირე მეურნეობები, უფრო დეტალური ტექ. დავალება დაზუსტდეს პროექტირების ეტაპზე.

#### ბ) ავტოსადგომი;

ავტოსადგომი გათვლილი უნდა იყოს მინიმუმ 105 ავტომობილზე, მათ შორის 100 მსუბუქი ავტომობილი და 5 მიკრო ავტობუსი. შესაძლებელია სივრცის სიმცირის გამო მიწისქვეშა ავტოსადგომის დაპროექტება, შეთანხმდეს და დაზუსტდეს პროექტირების ეტაპზე.

ავტოსადგომმა უნდა მოიცვას შემდეგი სივრცეები (მაგრამ არ შემოიფარგლება):

- მსუბუქი ავტომობილის სადგომი;
- შერეული ავტოსადგომი მიკრო-ავტობუსებისთვის და მსუბუქი ავტომობილებისთვის მიწის პირა სართულზე;

პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს რელიეფი, ტერიტორიაზე მანქანით შესასვლელი გზები, სახანძრო შესასვლელი გზები, ინვეტარით მომარაგების გზა.

#### გ) სატრანსფორმატორო

სატრანსფორმატორო ქვესადგური უნდა იკვებებოდეს „თელასის“ ქსელიდან 6კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით (ე.გ.ხ.) სხვადასხვა კვების წყაროდან. ორივე ხაზი მუდმივად უნდა იყოს ძაბვის ქვეშ. ერთ-ერთი ხაზი სატრანსფორმატორო ქვესადგურში იქნება ამორთული თანამედროვე ვაკუუმური ამომრთველებით. ძირითადი ხაზის გამორთვის შემთხვევაში მორიგე პერსონალის მიერ შესაძლებელი უნდა იყოს სარეზერვო ხაზზე გადასვლა და თუ სარეზერვო ხაზიც გამორთული იქნება შესაძლებელი უნდა იყოს დიზე-გენერატორზე გადართვა (მისი არსებობის შემთხვევაში).

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

სატრანსფორმატორო უნდა იყოს ორ სექციანი, როგორც მაღალი, ასევე დაბალი ძაბვის მხრიდან. ქვესადგურში უნდა დაიდგას ორი ერთი და იგივე სიმძლავრის (უნდა გაითვალისწინებოდეს დადგმული სიმძლავრის მიხედვით). ძალოვანი ტრანსფორმატორი. ტრანსფორმატორი უნდა იყოს შიდა დადგმულობის მშრალი ტიპის. ქვესადგურში უნდა მოეწყოს გამანაწილებელი მოწყობილობა 8 უჯრედი, მათ შორის:

- შემომყვანის უჯრედი
- უჯრედი მომიჯნავე ქვესადგურის კვებისთვის
- უჯრედი ძაბვის ტრანსფორმატორის
- უჯრედი სასექციო გამთიშველის

სატრანსფორმატოროში განთავსებული უნდა იყოს დაბალი ძაბვის მთავარი გამანაწილებელი ფარი, რომელსაც უნდა გააჩნდეს ორი შემომყვანის სხვადასხვა ტრანსფორმატორიდან და სასექციო გამთიშველი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ობიექტის კვება ალტერნატიული კვების წყაროდან (გენერატორიდან) გამანაწილებელი ფარის ავტომატური ამომრთველები, გამთიშველები და სხვა ალტურვილობები ისევე, როგორც ტრანსფორმატორები და მაღალი ძაბვის უჯრედები განთავსებული უნდა იყოს შენობში დახურული კარადების სახით.

მთავარი გამანაწილებელი ფარიდან კვებას უნდა იღებდეს შემდეგი მომხმარებლები:

- კომპრესორი
- რეზერვი
- გამანაწილებელი ფარები ადმინისტრაციული შენობისთვის
- გამანაწილებელი ფარები გასამართი სადგურისთვის
- გამანაწილებელი ფარები სარემონტო სამუშაოებისთვის
- გამანაწილებელი ფარი გარე განათებისთვის
- გამანაწილებელი ფარები საკონტროლო-გამშვები პუნქტისათვის
- გამანაწილებელი ფარი დამხმარე სათავსოსთვის

სატრანსფორმატორო ქვესადგურის ყველა მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური მონაცემებით ევროსტანდარტებს.

ელექტროგამანაწილებელი სისტემა უნდა იყოს მოწყობილი ისე რომ, მარგი დატვირთვის ელექტრო კვება ხორციელდებოდეს 2 დამოუკიდებელი დაცული ხაზით. ელ-ფარებში გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილები მომავალში დამატებითი ამომრთველების განთავსებისთვის (30%). ელ-ფარი მოთავსებული უნდა იყოს ელ-კვებისთვის განკუთვნილ არააღებად კარადაში, რომლის კარებიც უნდა იკეტებოდეს. ყველა საჭირო მასალა (სპილენძის ელ-სადენები შესაბამისი სიგრძის, კვეთით და იზოლაციის, სამაგრები, ბუნიკები და ასე შემდეგ), უნდა იყოს მოწოდებული და შეერთებული ელ-ფართან.

#### დ) დენდროლოგია

გამწვანებული ტერიტორიის მოწყობა:

1. გაწვანებული ტერიტორიის მოწყობა მოიცავს:

- ტერიტორიის დაგეგმარებას (მათ შორის, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას);

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

- წყალმომარაგებას, სარწყავი ქსელისა და საწრეტის მოწყობას;
- ელექტროსამონტაჟო სამუშაოებს;
- გზების, ბილიკებისა და მოედნების აღდგენა-მშენებლობას (მათ შორის, ტროტუარის ქვებითა და ფილებით მოწყობას);
- ტერიტორიის ფურნიტურით და საინფორმაციო მაჩვენებლებით მოწყობას;
- ტერიტორიის შადრევნებით, ქანდაკებებით, ქოთნებით დეკორირებას; სოკოს ფორმის სასმელი წყაროებისა და რეტერატების მოწყობას; (დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე)
- ნიადაგის მომზადებას დარგვისათვის ან თესვისათვის (საჭიროების შემთხვევაში, ნიადაგის მოჭრას)
- მწვანე ნარგავების დაცვა, მოვლა და აღდგენა;
- გაზონებისა და ყვავილნარების მოწყობას;
- მეზღის სივრცე (20მ²) უნდა პასუხობდეს აღნიშნული ტერიტორიის მოვლა-პატრონობისთვის საჭირო ინვენტარის შენახვა/ექსპლუატაციას.

#### სამედიცინო მომსახურება:

- გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით ადმინისტრაციის თანამშრომლების უზრუნველყოფის მიზნით სამედიცინო სივრცეს უნდა ჰყავდეს სათანადო კვალიფიკაციის ექთანი;
- პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად სამედიცინო სივრცეში უნდა ინახებოდეს (ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის მიუწვდომელ ადგილას) სამედიცინო პრეპარატების (მათ შორის, პედიატრიული) და შესახვევი მასალის შესაბამისი რაოდენობა, რომელთა გამოყენებას ზედამხედველობს ექთანი;
- სამედიცინო სივრცეში ნებისმიერი სახის ინფექციური დაავადების ან დაავადებაზე ექვის დაფიქსირებისას დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს და ნებისმიერი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიება უნდა ჩატარდეს მისი რეკომენდაციებით

#### ვ) სასადილო

- სასადილო განკუთვნილია 60 დასაჯდომ ადგილზე და მისი პროექტირება უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით HACCP სურსათის უვნებლობის ნორმებით და სტანდარტებით;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N173 2010 წლის 25 ივნისი ქ. თბილისი „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“;

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

- საქართველოს მთავრობის დადგენილება N301 2016 წლის 1 იანვარი ქ. თბილისი „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N90 2012 წლის 7 მარტი ქ. თბილისი „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“;
- მენიუ შეთანხმდეს პროექტირების ეტაპზე დამკვეთთან სამზარეულოს სათადარიგო ორგანიზებისთვის;
- პროექტირება მოხდეს СНиП II-Л.8-71 კვების ობიექტების პროექტირების ნორმები და წესები;
- სანიტარულ ეპიდემიოლოგიური მოთხოვნები საზოგადოებრივ კვების ობიექტებთან. სანიტარულ ეპიდემიოლოგიური წესები და ნორმები СанПиН 2.3/2.4.3590-20.

## ზ) არქივი

სამეცნიერო-ტექნიკური არქივის დაპროექტების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს:

- არქივში კედლების, ჭერის, დანადგარებისა და საარქივო დოკუმენტების შესანახი მოწყობილობების ზედაპირი უნდა იყოს დამზადებული ისეთი მისაღებიდან, რომლებიც არ დააგროვებენ მტვერს და არ იქნებიან მტვრის წყაროები, ამავე დროს არ გამოყოფენ აგრესიულ ქიმიურ ნივთიერებებს
- სათავსოს ჭერის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 4 მეტრს
- სათავსოს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი ან ხელოვნური განიავება. კონდიციონერმა უნდა აკმაყოფილებდეს ჰაერის რეციკლაციას 2-3 შეცვლის ჯერადობით. ტემპერატურისა და სინოტივის სტაბილურობას, ჰაერის გაწმენდას აგრესიული მინარევებისგან, კლიმატკონტროლის სისტემა.
- საარქივო დოკუმენტების საცავში სადაც ინახება მასალები ქაღალდებზე კონდიციონერების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ რეჟიმს: ტემპერატურა 17°-19° ცელსიუსი და შესაბამისი სინოტივე 50-55%
- არქივის სათავსოში განათება შეიძლება იყოს, როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური. საარქივო მასალების შესანახი სათავსო შეიძლება იყოს ფანჯრებიანი ან უფანჯრო. უფანჯრო არქივის სათავსოში აუცილებელია იყოს ხელოვნური განიავება შესაბამისი ჰაერის ჯერადობით
- ბუნებრივი განათება არქივში დაიშვება გაფანტული ნათებით ფანჯრებზე მოწყობილი სინათლის დამფანტველი, სინათლის სხივები ავტომატური რეგულაციებით (სპეციალური მინა) დამცვლი ფილტრებით, ჟალუზებით და ფარდებით
- შენობაში ხელოვნური განათებისთვის გამოიყენება ვარვარა ნათურა, რომელიც მოთავსებულია პრიალა ზედაპირის მქონე დახურულ პლაფონებში. დაშვებულია შეკვეცილი ულტრაიისფერი სპექტრის მონაკვეთების გამოყენება. განათების დონე ხილვადი სპექტრის დიაპაზონში იატაკის დონიდან 1 მ -ს არ უნდა აღემატებოდეს:
- თაროების ვერტიკალურ ზედაპირზე 20/50 ლკ
- სამუშაო მაგიდებზე 100 ლკ

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

- გათვალისწინებული უნდა იყოს არქივარიუსის ოთახი სამუშაო მაგიდით და პროექტისა და საფუთების ასლების გადამღები აპარატით

#### თ) კანცელარია, აქტუალური დოკუმენტაციის სათავსო

- არქივში კედლების, ჭერის, დანადგარებისა და საარქივო დოკუმენტების შესანახი მოწყობილობების ზედაპირი უნდა იყოს დამზადებული ისეთი მასალებისგან, რომლებიც არ დააგროვებენ მტკვრს და არ იქნებიან მტვრის წყაროები, ამავე დროს არ გამოყოფენ აგრესიულ ქიმიურ ნივთიერებებს
- გათვალისწინებული უნდა იყოს კანცელარიის ოთახი სამუშაო მაგიდით და პროექტისა და საბუთების ასლების გადამღები აპარატით
- ახლოს უნდა იყოს ადმინისტრაციულ საოფისე სივრცესთან

#### ი) მონიტორინგის ცენტრი

მონიტორინგის ცენტრი წარმოადგენს ტექნიკურ კომპლექსს, რომლის დანიშნულებაც შეაგროვოს გამოსახულების სიგნალები უსაფრთხოების ტექნიკური მოწყობილობებისგან, რომლებიც განლაგებულია მოშორებულ ობიექტებზე და წარმოადგენს სრულ აღრიცხვიან საინფორმაციო ცენტრს. მიღებული სიგნალი რეტრანსლატორის საშუალებით გამოდის ეკრანზე და მორიგე ოპერატორს აძლევს საშუალებას მიიღოს საგანგებო სიტუაციაში შესაბამისი გადაწყვეტილება. მონიტორინგის ცენტრი ორგანიზებულია სტრუქტურული ერთეული ორგანიზაციის დასაცავად. მის ფუნქციებში შედის:

- სახანძრო და საგანგაშო უსაფრთხოების პერიმეტრული სიგნალების მიღება,
- სამსახურეობრივი სიგნალების მიღება, ოპერატიული რეაგირება ყველა არასაშტატო სიტუაციაზე.
- მონიტორინგის ცენტრს უნდა შეეძლოს უზრუნველყოს საგანგაშო სიგნალის. კონტროლი და მიღება.
- გამოსახულების მიღება და ვიდეოკამერებში მართვა,
- შეტყობინებების სისტემების მონიტორინგი,
- სახანძრო სისტემების მუშაობის მონიტორინგი,
- გააჩნდეს ხმოვანი შეტყობინების კავშირი.
- მას უნდა გააჩნდეს საკუთარ ტერიტორიაზე დაშვების სიგნალი.
- დოკუმენტაციის არქივირების საშუალება, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული არქივირების საშუალება.

#### სპეციალური მოთხოვნები:

- მონიტორინგის სივრცეს უნდა გააჩნდეს მოსასვენებელი ოთახი 10 პერსონისთვის (ქალების) საშხაპით, ტუალეტითა და საკვების მისაღები სივრცე

#### მონიტორინგის ცენტრი შედგება:

- პროგრამული უზრუნველყოფა;

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
წუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

- სიგნალის მიღების / კონტროლის ავტომატური სამუშაო სადგურები უსაფრთხოებისა და სიგნალიზაციის სისტემები;
- სიგნალის მიღების ავტომატური სამუშაო სადგურები / პერიმეტრის უსაფრთხოების სიგნალიზაციის სისტემის კონტროლი;
- სიგნალის მიღების ავტომატური სამუშაო სადგურები / ხანძრის სიგნალიზაციის ავტომატური კონტროლის სისტემა;
- სიგნალის მიღების / კონტროლის ავტომატური სამუშაო სადგურები ვიდეო თვალთვალის სისტემები;
- სიგნალის მიღების / კონტროლის ავტომატური სამუშაო სადგურები წვდომის კონტროლისა და მართვის სისტემები;
- სიგნალის მიღების ავტომატური სამუშაო სადგურები / სახანძრო ავტომატიკის კონტროლი (სურვილისამებრ);
- სიგნალის მიღების ავტომატური სამუშაო სადგურები / Alert და Evacuation Control System კონტროლი (სურვილისამებრ);
- ვიდეო ინფორმაციის ჩვენების ელემენტები (კედლის ვიდეო პანელები, მონიტორები და სხვა);
- მითითების ბლოკები (მაჩვენებელი ნათურები, სირენები);
- საკონტროლო პანელები;
- ქსელის / არხის ფორმირების მოწყობილობა (მარშრუტიზატორები და სხვა);
- სადენიანი / რადიო არხის აღჭურვილობის / გადამცემების მიღება და გადაცემა (სურვილისამებრ);
- ტერმინალური მოწყობილობები სატელეფონო და რადიო კომუნიკაციებისთვის;
- კვების წყაროები (ძირითადი, სარეზერვო).
- ვიდეო მონიტორინგის სივრცეზე მორგებული და ადაპტირებული ბუნებრივი და ელექტრო განათების სისტემა;
- ვიდეო მონიტორინგის სივრცეზე მორგებული კლიმატის და ტენიანობის კონტროლი;
- ავარიული განათების სისტემა (მთელს შენობაში).

#### პროექტირების ნორმები და წესები:

- მონიტორინგის ცენტრების დიზაინი და მონტაჟი ხორციელდება ГОСТ P 50775-95 (МЭК 839-1-1-88) „სიგნალიზაციის სისტემების შესაბამისად. ნაწილი 1. ზოგადი მოთხოვნები. ნაწილი 1. ზოგადი დებულებები“,
- ГОСТ P 50776-95 (МЭК 839-1-4-89) „სიგნალიზაციის სისტემები. ნაწილი 1. ზოგადი მოთხოვნები. ნაწილი 4. დიზაინის, მონტაჟისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“,

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenskeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenskeli@gmail.com  
www.innosystems.ge

- ГОСТ 26342-84 უსაფრთხოების, ხანძრისა და უსაფრთხოების საშუალებები და სახანძრო სიგნალიზაცია. ტიპები, ძირითადი პარამეტრები და ზომები "და, კონკრეტულ შემთხვევაში, უსაფრთხოების ორგანიზაციასთან შეთანხმებით, სახელმძღვანელო დოკუმენტი
- ПД 178.143-93 უსაფრთხოების სიგნალიზაციის სისტემები და კომპლექსები. ობიექტების ტექნიკური გამაგრების ელემენტები. დიზაინის სტანდარტები ",
- ПД 78.36.003-2002 საინჟინრო და ტექნიკური სიძლიერე. დაცვის ტექნიკური საშუალებები. მოთხოვნები და დიზაინის სტანდარტები ობიექტების კრიმინალური ხელყოფისაგან დაცვისათვის ",
- ПД 25.03.001-2002 ობიექტების უსაფრთხოება და უსაფრთხოება. პირობები და განმარტებები
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 2016 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე;
- NFPA სტანდარტები.

### უსაფრთხოების საქალაქო სამსახური

სამსახური მოქმედებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად.

### სამსახურის ფუნქციები

სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ბაღების, პარკების და სკვერების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და თბილისის რაიონული გამგეობების შენობების უსაფრთხოებას;
- უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტებში, თბილისში არსებულ ბაღებში, პარკებსა და სკვერებში მუნიციპალური ქონების დაცვას;
- ახდენს დასაცავ ობიექტებზე უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის მომზადებას, ანალიზს და თბილისის მერისათვის უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებების წარდგენას;
- უზრუნველყოფს ოპერატიულ რეაგირებას და კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების მიღებას მუნიციპალური ქონებისა და ობიექტების დაცვის მიზნით;
- უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელებას.
- ასრულებს საქართველოს კანონმდებლობითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუგეზიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

### ადმინისტრაციული საოფისე სივრცის დაცვა

ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ამოცანებია:

- ადმინისტრაციული საოფისე შენობის, აგრეთვე სხვა სტრატეგიული ობიექტების დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით ღონისძიებების განხორციელება;
- უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ შენობების ტერიტორიაზე შესვლისა და გასვლის წესის დაცვასა და უსაფრთხო გადაადგილების ორგანიზებას;
- დასაცავი ობიექტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვას;
- უზრუნველყოფს დასაცავი ობიექტების ირგვლივ არსებული ვითარების ანალიზს, კონტროლს, საფრთხის პროგნოზირებას, კლასიფიკაციასა და შესაბამისი უსაფრთხოების ზომების გამოყენებას; პროექტირება უნდა განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №10-10 2018 წლის 16 იანვარი გათვალისწინებით

შენობა ნაგებობაში უნდა მოეწყოს დაცვის სამორიგეო. დაცვის სამორიგეოს სამუშაო რეჟიმი არის 24 საათიანი, სამორიგეოში მუდმივად იმყოფება 2 პირი. სამორიგეო აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური სადგამით, რომელიც ითვლება დაცვის სამსახურის სამუშაო ადგილად. დაცვის თანამშრომლები ახორციელებენ შენობაში ვიზიტორების დაშვებას. სამორიგეო მოწყობილი უნდა იყოს ისე, რომ დაცვის თანამშრომელს შეეძლოს ელექტრონული საშვის შემოწმება და გატარება. შენობის პირველ სართულზე უნდა მოეწყოს დაცვის თანამშრომელთა სამუშაო ოთახი 2 პერსონაზე შესაბამისი ავეჯით და ინვენტარით. ასევე უნდა მოეწყოს დაცვის თანამშრომლებისთვის მოსასვენებელი სივრცე (4 პერსონაზე) და სანიტარული კვანძი. დეტალები დაზუსტდეს პროექტირების ეტაპზე.

### კ) საშვთა ბიურო და საგუშაგო

ადმინისტრაციული შენობის სტაბილური და უწყვეტი მუშაობის უზრუნველსაყოფად

უნდა მოეწყოს საკონტროლო გამშვები პუნქტი (საგუშაგო) და საშვთა ბიურო.

- ადმინისტრაციული შენობის სტაბილური და უწყვეტი მუშაობის უზრუნველსაყოფად უნდა მოეწყოს საშვთა ბიურო.
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამზადებს ინფორმაციას მონაცემების დამუშავების საფუძველზე;

საგუშაგო უნდა იყოს ისე მოწყობილი რომ იქ განთავსდეს:

- 2 პერსონა, დაცვის თანამშრომელი;
- ელექტრონული ბარიერები (ტურნიკეტები);

სს ინოსისტემის საპროექტო  
საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური  
ინსტიტუტი  
მისამართი: ქ. თბილისი, შ.  
ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, III კვ.,  
კორპ. 5, ბ. 3  
ს/კ: 405460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail: davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge



JSC Innosystems Project Design  
Technological Institute  
Address: Tbilisi, Shalva Nutsubidze  
Slope, M/R II, Quarter III, Building 5,  
Flat 3  
I/C: 4051460317  
Mob.: +995 551 707 222  
Tel/Fax: +995 032 237 10 07  
E-mail:  
davidchkhenkeli@gmail.com  
www.innosystems.ge

- საგუმაგოზე უნდა იყოს მეტალოდეტექტორი არკის განთავსების საშუალება შესაბამისი ქსელის და დენის წერტილებით;
- სამუშაო ოთახის ფართობი დაზუსტდეს პროექტირების ეტაპზე.

დაცვის თანამშრომლების სამუშაო ოთახი მოწყობილი უნდა იყოს ისე რომ იქ განთავსდეს:

- 4 პერსონა, დაცვის თანამშრომელი;
- მოსასვენებელი სივრცე 4 პერსონაზე;
- სანიტარული კვანძი;

ლ) ვიზიტორების შემოწმება კოვიდ რეგულაციების თანახმად, ბუფერული ზონა

- ადმინისტრაციულ შენობაში შემოსასვლელში უნდა იყოს მოწყობილი ბუფერული ზონა, სადაც მოხდება ტემპერატურული კონტროლი;
- აუცილებელია ვიზიტორების ტემპერატურული მდგომარეობის დადგენა;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N81 2014 წლის 15 იანვარი;
- საქართველოს მთავრობის N181 დადგენილება 2020 წლის 23 მარტი.

## 6.1 მოთხოვნები ოფისის თანამშრომლების სამუშაო ადგილის მიმართ

- საქართველოს მთავრობის დადგენილება N69 2014 წლის 15 იანვარი
- ტექნიკური რეგლამენტი საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები ჰიგიენური მოთხოვნების საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი სანიტარული წესები და ნორმები
